# «კამელინ მ 4» – უნივერსალური სამკურნალო სანთლები

***2015 წლის 5 აპრილს სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“ გაიმართა ჯანდაცვის პროფესიონალთა ლიგის მესამე გაერთიანებული კონგრესი გინეკოლოგიასა და სტომატოლოგიაში სახელწოდებით: „ქალის განვითარების ციკლში მიმდინარე ფიზიოლოგიური და პათოლოგიური ცვლილებების გამოვლენა გინეკოლოგიურ და სტომატოლოგიურ პრაქტიკაში“. აღნიშნულ ღონისძიებაში მიიღო მონაწილეობა ფარმაცევტულმა კომპანია „კამელინმაც“. საპატრიარქოს, წმინდა ანასა და იოაკიმეს სამშობიარო სახლის, ორსულთა პათოლოგიის გამგემ, მეან-გინეკოლოგმა დავით ლანდიამ დამსწრე საზოგადოებას გააცნო იმ კლინიკური კვლევების შედეგები, რომელიც მიღწეულ იქნა „კამელინ მ4“-ის (სანთლების) გამოყენებით ორსულებში გინეკოლოგიური პათოლოგიებისა და ბუასილის დროს.***




პრეპარატი „კამელინი“ დიდ ინტერესს იწვევს როგორც მეცნიერთა, ასევე პრაქტიკოსი ექიმების მხრიდან. მათი ინტერესის დაკმაყოფილებას კი ფარმაცევტული კომპანიის წარმომადგენლები და კვლევებში ჩართული ექიმები, როგორც დამოუკიდებელ თემატურ კონფერენციებზე კლინიკურ კვლევებზე გამყარებული შედეგების პრეზენტაციებით, ასევე სამედიცინო საზოგადოების მიერ გამართულ კონფერენციებსა და ღონისძიებებზე მონაწილეობით ახდენენ. საქართველოსა და საზღვარგარეთ ჩატარებულმა კვლევებმა გამოავლინა პრეპარატის ჩვენების მრავალმხრივობა. იგი გამოიყენება ისეთი მიმართულებებით, როგორიცაა სტომატოლოგია, რევმატოლოგია, ქირურგია, უროლოგია, გინეკოლოგია, დამწვრობით გამოწვეული პათოლოგიები და სხვა.

„კამელინის“ ბაზაზე დამზადებული სანთლების „კამელინ მ4“-ის შექმნას წინ უძღოდა წინაკლინიკური გამოკვლევები როგორც საქართველოს, ასევე საზღვარგარეთის სამეცნიერო ცენტრებში. „კამელინ მ4“-ს გააჩნია მრავალმხრივი მოქმედების უნარი რექტალურ-ვაგინალური მოხმარებისთვის. წამლის ეს ფორმა მოხმარებისთვის ძალიან მარტივი და უმტკივნეულოა. „კამელინ მ4“ გამოიყენება ქალური დაავადებების, ვაგინალური ინფექციების, საშვილოსნოს ყელის ეროზიების, ორსულებში ანთებითი პროცესების და ბუასილის მკურნალობაში.

**დავით ლანდია:** — სანთლები გამოიცადა 500-ზე მეტ ორსულსა და მელოგინეზე. აწარმოებდნენ მკურნალობამდე და მკურნალობის შემდეგ ნაცხების მიკროსკოპულ კვლევას, რომლის საფუძველზეც „კამელინ მ4“-ის დადებითი მოქმედება ლეიკოციტებზე, ასევე გრამ პლუს და გრამ მინუს ჩხირებზე აშკარა იყო. „კამელინის“ ხსნარით კი ახდენდნენ პოსტოპერაციული (გინეკოლოგიური და საკეისრო) ჭრილობების დამუშავებას. აქაც პრეპარატმა გამოავლინა რეგენერაციის მაღალი უნარი, „კამელინმა“ ხელი შეუწყო შეხორცებითი პროცესების დაჩქარებას ყოველგვარი გართულებების გარეშე.

„კამელინი მ4“ ძალზე ეფექტური აღმოჩნდა ორსულებში ბუასილის დროს, რაც ორსულებში, განსაკუთრებით უკანასკნელ ტრიმესტრში ძალზე ხშირია. „კამელი მ4“-მა გამოავლინა არაჩვეულებრივი სამკურნალო ეფექტი, 3-4 პროცედურა საკმარისი აღმოჩნდა უსიამოვნო სიმპტომების სრულიად გაქრობაში, ორსულები აღარ უჩიოდნენ ბუასილისგან გამოწვეულ სიმპტომებს და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, „კამელინის“ სანთლებს არავითარი უკუჩვენება არ გამოუვლენია. კვლევაში ჩართულები იყვნენ აგრეთვე მეძუძური დედებიც, რადგან აღნიშნული დაავადება მშობიარობის შემდეგაც ბევრს აწუხებს. „იმედის კლინიკაში“ ჩატარებული კლინიკური კვლევების საფუძველზე დაასკვნეს, რომ „კამელინის“ სანთლები ორსულებსა და მელოგინეებში ვაგინალური და პროქტოლოგიური გამოყენებისათვის შესანიშნავია.

დავით ლანდიას თქმით, მისასალმებელი იქნება, თუ აღნიშნული სანთლები ფართოდ დაინერგება ქალთა კონსულტაციებში, რადგან „კამელინ მ4“ არის სრულიად უსაფრთხო პრეპარატი ყოველგვარი გვერდითი მოვლენების გარეშე. მას გააჩია ტკივილგამაყუჩებელი, ანთებისსაწინააღმდეგო ეფექტი, აჩქარებს რეგენერაციის პროცესებს, აძლიერებს იმუნომოდულაციისა და რეპარაციულ პროცესებს. შესანიშნავი ანტიბაქტერიული, ანტივირუსული, ანტიმიკოზური და ანტიკანცეროგენული თვისებებით ხასიათდება და სწრაფ შედეგს იძლევა ვაგინალური ინფექციების, მათ შორის, ბაქტერიული, ვირუსული, სოკოვანი გენეზის, საშვილოსნოს ყელის

ეროზიებისა და ანთებითი დაა
ვადებების, პროქტიტების, ბუ
ასილის შემთხვევაში.

„კამელინის“ ვაგინალურ
რექტალურ სანთლებზე კლინი
კური კვლევები ბათუმის სამშო
ბიარო სახლშიც ჩატარდა სხვა
დასხვა კლინიკურ დიაგნოზებ
ზე. კვლევის პროცესი მოიცავ
და არამარტო პაციენტის სუ
ბიექტური ჩივილების, არამედ
კლინიკური სურათის ობიექ
ტურ შესწავლასაც. ტარდებო
და კოლპოსკოპიური და ციტო
ლოგიური გამოკვლევები, ანა
ლიზები ვასერმანსა და შიდს
ზეც. „კამელინის“ სანთლებით
ყველა შემთხვევაში (საშვილოს
ნოს ყელის ეროზია, ცერვიცი
ტი და ლეიკოპლაკია, პოსტტ
რავმული ექტოპია, ვირუსული
პაპილომის სუბკლინიკური
ფორმა) დაფიქსირდა დაავადე
ბის დადებითი დინამიკა. აღსა
ნიშნავია ისიც, რომ საშვილოს
ნოს მწვავე ანთების დროს „კა
მელინ მ4“-ით მოხერხდა ანთე
ბითი პროცესის ჩაწყნარება და
რიგ შემთხვევაში საერთოდ ალო
გება. ბალნეოლოგიურ კურორ
ტში აკადემიკოს ნიკა საყაშვი
ლის უშუალო ხელმძღვანელო
ბით „კამელინზე“ ჩატარებულ
კლინიკური კვლევებისას, ურო
ლოგ ზაზა ბაინდურიშვილმა „კა
მელინის“ სანთლები გამოიყე
ნა უროლოგიური დაავადებე
ბის მკურნალობაში. მაღალი
თერაპიული ეფექტის საფუძ
ველზე მიღებულ იქნა დასკვნა
რომ პრეპარატი „კამელინ მ1“
და „კამელინ მ4“ მონო და კომ
პლექსური თერაპიის სახით შე
იძლება გამოვიყენოთ ქრონიკუ
ლი პროსტატიტებისა და
ურეთრიტების, ასევე პროსტა
ტის ადენომების დროს. ასე
რომ, „კამელინის“ სანთლებ
არა მარტო ქალებს, არამედ მა
მაკაცებსაც მრავალი პრობლე
მის მოგვარებაში დაეხმარება.

*მოამზადა*
**მაია ცომაია**

„კამელინთან“ დაკავშირებულ საკითხებზე ინფორმაციის მიღება და კონსულტაცია უფასოა, დარეკეთ: **298-57-78; 293-20-87; 298 62 25 (ოფისი); 599-33-10-89; 577-73-56-51; 599-23-03-33**

კამელინი CAMELYN

WWW.CAMELYN.GE; ფოსტა: INFO@CAMELYN.GE